დანართი №1

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

31/12/2025-ის მდგომარეობით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (30 00)

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)

განმახორციელებელი - **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო**

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	**125540**	**143476.1**	**143474.9**	100.0%	**37674.2**
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	123875	133086.60	133085.80	100.0%	
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება *(ფულადი გრანტი)*		140.1	140.1	100.0%	
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	1665	10249.4	10249	100.0%	37674.2

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

1. **ღონისძიების დასახელება:** ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება:

1.1 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება.

- საანგარიშო პერიოდში **69 208** ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ აღემატება 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს;
- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების განხორციელების მიზნით, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის, საკომუნიკაციო ქსელის, სატელეფონო და რადიო კავშირების, ვიდეო რეგისტრატორების, ვიდეო-სამეთვალყურეო და სატელევიზიო სისტემების გამართულ მუშაობის უზრუნველყოფას.
- საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 7 მუნიციპალიტეტის, 12 საჯარო სკოლის და 301 საგანმანათლებლო დაწესებულების და ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმები;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების საკითხებზე თეორიული სწავლება ჩაუტარდა 35 საგანმანათლებლო დაწესებულებას, მათ შორის 12 საჯარო სკოლას, აღნიშნული სკოლების 5 სსმ მოსწავლეს და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ სათაო ოფისს;
- სამსახურის კოორდინაციით შემუშავდა და მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულ იქნა ონის მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი;
- საგანგებო მართვის გეგმების შემუშავებაზე უფლებამოსილი პირების მომზადების მიზნით, თეორიული და პრაქტიკული სწავლებები ჩატარდა ქ. რუსთავის, ხარაგაულის, თეთრიწყაროს, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში. რომლის დროსაც განხორციელდა აღნიშნული მუნიციპალიტეტების საგანგებო მართვის გეგმებისა და მუნიციპალიტეტების უსაფრთხოების პასპორტების პროექტების შემუშავება;
- ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების პროექტის მომზადების, უფლებამოსილი პირების სწავლების და მოხალისეობის სისტემის გაცნობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შეხვედრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და მოხალისეობის მსურველ კანდიდატებთან. ასევე, ჩატარდა სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით და მოეწყო სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სხვადასხვა დანაყოფებს სამოქალაქო უსაფრთხოებისა და სახანძრო-სამაშველო საკითხებზე სამსხურის მოსამსახრუეების მიერ ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული სწავლები
- საანგარიშო პერიოდში, ადრეული შეტყობინების სისტემის არქიტექტურასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხების განხილვის მიზნით, ეროვნული უსაფრთხოების აპარატში მიმდინარეობდა თემატური შეხვედრები;
- მიმდინარე წლის თებერვლის თვეში და მარტის თვის დასაწყისში გურიის, იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დიდთოვლობის შედეგების სამაშველო-სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნა საგანგებო შტაბი. სამსახურმა განახორციელა 500-მდე მეხანძრე-მაშველის ადგილზე მობილიზაცია, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამაშველო და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში;
- მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ავჭალაში, ზაჰესის ტერიტორიაზე სასაფლაოს მიმდებარედ გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოების განსახორციელებლად, რთული რელიეფიდან გამომდინარე მობილიზებული იყო 200-მდე მეხანძრე-მაშველი და სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენი;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტში თურქეთის რესპუბლიკის კუთვნილი C-130 თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად ბორტზე მყოფი პირების სამძებრო-სამაშველო ოპერაციისთვის მოეწყო საველე შტაბი და მობილიზებული იქნა სამსახურის სხვადასხვა დანაყოფის 557 მოსამსახურე;

- მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ბაღდათის მუნიციპალიტეტის, სოფელ „ხანში“ ტყის მასშტაბული ხანძრის დროს სალიკვიდაციო სამუშაოების განსახორციელებლად მოეწყო საველე შტაბი და მობილიზებულ იქნა სამსახურის სხვადასხვა დანაყოფის 480 მოსამსახურე;
- ზაფხულის სეზონის დადგომასა და წყალზე მობანავეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამსახურის მხრიდან განხორციელდა საზღვაო ტექნიკას და სანაპირო ზოლზე განლაგებული სამეთვალყურეო კოშკურების გეგმიური სარემონტო სამუშაოები, ასევე ცოცხალი ძალის მობილიზაცია, მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ სწავლების ჩატარება და ტურისტულად დატვირთულ ადგილებში გადასროლა;
- სხვადასხვა რაიონებში ზაფხულის ხანძარსაშიში სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, თავთავიანი და სხვა კულტურების მოსავლის აღების, გადამუშავებისა და შენახვის პერიოდში ხანძრების გაჩენის მომატებული საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, ხანძრებზე დროული რეაგირებისა და წარმატებით ჩაქრობის მიზნით მიზნით, სამსახურში განხორციელდა ცოცხალი ძალის მობილიზაცია და მობილური ჯგუფების შექმნა;
- ინდივიდუალური შემთხვევის ანალიზის და პირადი შემადგენლობის ფსიქო - ემოციური ფონის მონიტორინგის, მხარდაჭერის და საჭიროებების გამოკვეთის მიზნით საანგარიშო პერიოდში სამსახურის პირად შემადგენლობასთან მიმდინარეობდა ფსიქოლოგის შეხვედრები;
- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტი და ექსპორტი დაექვემდებარა ნებართვას, ხოლო წარმოება და რეალიზაცია ლიცენზიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფიზიკური/იურიდიული პირისთვის პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის/ექსპორტის ნებართვის, პიროტექნიკური ნაწარმის წარმოების/რეალიზაციის ლიცენზიის გაცემისა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის ფუნქცია დაემატა სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს. შესაბამისად აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავებული და მიღებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტები:
    - „პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და რეალიზაციის ნებართვის/ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N94 დადგენილება.
    - „ტექნიკური რეგლამენტი - პიროტექნიკური ნაწარმის ბაზარზე განთავსების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N93 დადგენილება;
    - "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი სახელმწიფო მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N 308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N92 დადგენილება;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სწავლება/ტრეინინგებში:
    - ქალაქ ბათუმში გემთწამყვანის კურსებში;
    - მაღალი წარმადობის წყლის საქაჩი ტუმბოების მოხმარებასა და ექსპლუატაციის გაწევის საკითხებთან დაკავშირებულ სწავლებაში;
    - ქ. ობერამერგაუ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ნატოს სკოლაში გამართულ - "ნატოს ქბრბ უსაფრთხოების საორიენტაციო კურსში" (NATO CBRN Defence Orientation Course" (M3-70-

A-25), ქბრბ ანალიტიკის ოპერატორებისათვის და "ნატოს ქბრბ შეტყობინებისა და აღწერის სისტემის / NATO CBRN Warning and Reporting System - Manual Procedures Course (P3-71-A-25)" სწავლებაში;

- ქ. ჰანოვერში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის მიერ ჩატარებულ მოდულების სამაგიდე სწავლებაში - „ModTTX3";
- დაბა გუდაურში ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ავსტრიელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარებულ სამთო - სამაშველო მიმართულებით სწავლებაში;
- ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის გაცნობის მიზნით, ქ. მადრიდში (ესპანეთის სამეფო) გამართულ ოპერაციული ინტეგრაციის კურსში;
- ,,სამხრეთ აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის (SEEE) რეგიონში წინა ხაზის ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცულობის ზომების გაძლიერება (P100)" ფარგლებში, უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) ორგანიზებით ჩატარებულ ტრეინინგში;
- ტყის მასივებში კვამლის და ხანძრის დეტექსიის ავტომატიზირებული სისტემის შესწავლის ტრენინგში;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, „ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასება და სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოსა და აზერბაიჯანში - SAILOR" პროექტის ფარგლებში საველე სწავლებაში („ტყის ხანძარი დედოფლისწყაროს საზღვრისპირა ტერიტორიაზე");
- ქ. ჟილინაში (სლოვაკეთი) ქბრბ რისკების შემცირებისათვის ასევე სამედიცინო რეაგირებისა და დეკონტამინაციის როლი შემსრულებლებისთვის ჩატარებულ სიმულაციებში და ტრეინინგში;
- ჩინეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტროსთან დაკავშირებული საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაწესებულება - საერთაშორისო გაცვლისა და თანამშრომლობის ცენტრის (IECC) ორგანიზებით „სარტყელი და გზის" ინიციატივის ფარგლებში გაიმართა სემინარი "შრომის უსაფრთხოება";
- იტალიაში, ქ. ვოლტერაში, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ გაცნობით სასწავლო კურსში;
- ქ. ბორჯომში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ სწავლებაში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში თეორიულ სწავლებაში კომპანია ,,სითიფეის" თანამშრომლებისათვის;
- ტრენინგში თემაზე - „ინტეგრირებული მრავლობითი საფრთხეების „გის"-ზე დაფუძნებული სოციალურ-ეკონომიკური რისკისა და მოწყვლადობის მოდელი";
- ქ. ბათუმში, ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის არასამტატო სახანძრო-სამაშველო ჯგუფების სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე მომზადებაში, ასევე, ხანძარზე რეაგირების პრაქტიკული ვარჯიშის ჩატარებაში;
- ჩეხეთის რესპუბლიკაში ტყის ხანძრებთან ბრძოლის და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით ჩატარებულ პრაქტიკულ სწავლებაში;
- დაბა ჩაქვში ჩატარებულ საავიაციო ძებნა-შველის უწყებათაშორის მასშტაბურ, მრავალკომპონენტიან სიმულაციურ სწავლებაში;
- თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) და თურქეთის კატასტროფების და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (AFAD) მიერ დაგეგმილ ღია რელიეფზე საძიებო-სამაშველო სამუშაოების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული სწავლებაში;
- ყირგიზეთის რესპუბლიკაში, ჩორპონ-ატაში დაგეგმილ თეორიული და პრაქტიკული "ყვინთვის სწავლებაში";

- სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ICDO-ს მიერ ქალაქ ბიშკეკში (ყირგიზეთის რესპუბლიკა) დაგეგმილ თეორიული და პრაქტიკული "სამთო სწავლებაში";
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №336 დადგენილებით დამტკიცებული ,,საავიაციო ძებნა-შველის რეაგირების გეგმის" შესაბამისად, პრაქტიკულ სწავლებაში, თემაზე: ,,სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა ქალაქის სიახლოვეს";
- საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - ,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში" ფარგლებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ჩატარებულ მწვანე ბანაკი - ,,კლიმატის ელჩების" სწავლებებში;
- უწყებათაშორის საველე სწავლებაში "დიდგორი 2025";
- სლოვენიაში ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) ფარგლებში, ჩატარებულ „მობილიზებადი შესაძლებლობების კურსი-ში" (Deployable Capacities Course) მონაწილეობა;
- ეროვნულ დონეზე ქიმიურ ინციდენტებზე ეფექტურ რეაგირების მიზნით, ქ. ტაშკენტი (უზბეკეთის რესპუბლიკა), ევროკავშირის ორგანიზებით ტრანსსასაზღვრო წვრთნების პროექტის (eNOVATION) ფარგლებში, ჩატარებულ სამუშაო შეხვედრასა და საველე წვრთნებში;
- ქ. მცხეთა, რადიოაქტიური ნარჩენების საცავის ტერიტორიაზე საველე პრაქტიკული სწავლება-სავარჯიშში, თემაზე - ხანძარი და რადიოლოგიური ინციდენტები;

1.2 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა.

- **საანგარიშო პერიოდში სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა 1655 ობიექტს,** კერძოდ:
  - დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 261 ობიექტს;
  - მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 1016 ობიექტს;
  - საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 21 ობიექტს;
  - სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შეუსაბამობა) დაუდგინდა 553 ობიექტს;
  - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 397 (ორმოცდაჩვიდმეტი) ობიექტზე;
  - შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) სახანძრო უსაფრთხოების ზომების მომზადების მიზნით განხორციელდა 81 ობიექტზე;

- **საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 2796 კორესპონდენცია,** კერძოდ:
  - **მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების** დადგენის შესახებ (პირველი სტადიის) შემოსული დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 802 რეკომენდაცია;
  - **შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის** დადგენის თაობაზე (მეორე სტადია) შემოსული დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგად

მომზადდა და გაიგზავნა 1453 რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 309 დაპროექტების დოკუმენტზე;

- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების თაობაზე მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან შემოსულ წერილებზე მომზადებული იქნა 134 საპასუხო წერილი;
- სამსახურის სისტემაში შემოსულ 407 დაპროექტების დოკუმენტაციაზე მომზადდა შენიშვნა-წინადადებები, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 200 დაპროექტების დოკუმენტზე;

- სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1179 ზარი. ასევე, გაიმართა 423 საკონსულტაციო შეხვედრა;

- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ განხილულ იქნა დარგობრივი საკანონმდებლო აქტები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;

1.3 შეფასების ინდიკატორი: საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (INSARAG) კლასიფიკაციის მინიჭება.

- საერთაშორისო საძიებო - სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (INSARAG) მიერ ჰუმანიტარული კვირეულის ფარგლებში გაიმართა მმართველი კომიტეტის შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნა კლასიფიკაციის და თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხი.
- INSARAG-ის კლასიფიკაციის მისაღებად სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ სამსახურის ზოგიერთ მოსამსახურეს ჩაუტარდა მსუბუქი სამაშველო ჯგუფის სწავლება;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (INSARAG) წინა საკლასიფიკაციო 36-საათიანი უწყვეტი სწავლება, რომლის დროსაც შეფასდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ურბანული სამძებრო-სამაშველო რაზმის შესაძლებლობები;
- კლასიფიკაცია INSARAG-ის სამდივნოს ოფიციალური წერილის საფუძველზე დანიშნული გამოცდის ჩასაბარებლად აქტიურად მიმდინარეობს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ურბანული სამძებრო-სამაშველო რაზმისთვის, შესაბამისი აღჭურვილობის რეესტრის შედგენა და შესაძენად საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს საქართველომ გაეროს საერთაშორისო საძიებო-სამაშველო საკონსულტაციო ჯგუფის (INSARAG) აკრედიტაცია მიიღო და საერთაშორისო სამაშველო ქსელის სრულფასოვანი წევრი გახდა.

1.4 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადებული/გადამზადებული სამსახურის მოსამსახურეები.

- შემუშავებული და დამტკიცებულია სხვადასხვა თემატური სასწავლო პროგრამა და კურსი;
- **მომზადებული/გადამზადებულია** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 369 **მოსამსახურე**;

- ასევე, მომზადებული/გადამზადებულია სხვადასხვა უწყებების/ორგანიზაციის - 1399 მოსამსახურე/თანამშრომელი;
- სამსახურმა სასწავლო ცენტრამა წარმატებით გაიარა ISO 21001:2018 სტანდარტის მიხედვით მენეჯმენტის სისტემების რეგულაციის პირველი საზედამხედველო აუდიტი;

2. **ღონისძიების დასახელება:** საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ტექნოლოგიების განვითარება:

2.1შეფასების ინდიკატორი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი.

eFss - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა

eFss - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა:

- აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- მონაცემთა ბაზის და ატვირთული დოკუმენტების მექანიკური სარეზერვო ასლის გაკეთება, მონაცემთა უსაფრთხოებისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად;
- საზედამხედველო ობიექტების საერთო ბაზის მომზადება წლიურის მონაცემთა ცვლილების ფორმირებისთვის;
- სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლების ინტეგრაცია, მათი მონაცემების განახლება ჰიდრანტების შემოწმების პროცესის უზრუნველსაყოფად;
- დეტალური/მიზნობრივი სახანძრო ტექნიკური შემოწმების ფორმის ცვლილება;
- დასრულებული განკარგულების ცვლილების შესაძლებლობის ფუნქცია სპეციალური როლის მქონე პირისთვის;
- მონაცემების მიგრაცია ახალ სერვერზე.

eFris - სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- efris.es.gov.ge-ს ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- efris.es.gov.ge-ს ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაცია

სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ღონისძიებები

ა. maps.es.gov.ge - ინტერაქტიული რუკა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- ინტერაქტიულ რუკაზე - maps.es.gov.ge რეგულარულად ხდებოდა სახანძრო ჰიდრანტების მონაცემების განახლება;
- ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება.

ბ. hydrants.es.gov.ge - სახანძრო ჰიდრანტების ელექტრონული რუკა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- ელექტრონული რუკაზე - hydrants.es.gov.ge რეგულარულად ხდებოდა სახანძრო ჰიდრანტების მონაცემების განახლება. დაემატა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოწოდებული სახანძრო ჰიდრანტების მონაცემები და

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) მიერ მოწოდებული მაგისტრალური მილსადენების მონაცემები;
- ქ. თბილისში მდებარე ჰიდრანტების დაყოფა რაიონებად;
- ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- დაემატა რუკის ხედის შეტრიალების ფუნქცია.

გ. incidents.es.gov.ge - ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის პორტალი

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:
- ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაცია;
- დაემატა სტატისტიკის მოდული და მიმდინარეობს მისი განვითარება/გაუმჯობესება;
- ახალი მოდულის - „სამაშველო შემთხვევები ზღვის სანაპიროზე“ შემუშავება;
- ახალი მოდულის - „სამაშველო შემთხვევები ზღვის სანაპიროზე“ სტატისტიკის ნაწილის შემუშავება;
- მოდულის „სამაშველო შემთხვევები ზღვის სანაპიროზე“ ინტეგრაცია პორტალის ძირითად მოდულში;
- რეგულარულად მიმდინარეობდა ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება.

დ. სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:
- მართვის პანელში სერვისების მოდელში ცვლილებების შეტანა;
- ახალი სერვისების ფორმების ანალიზი და არქიტექტურა;
- ავტორიზაციის მოდულის შემუშავება;
- რეგისტრაციის მოდულის შემუშავება;
- პაროლის აღდგენის ფუნქცია;
- განახლებული სერვისების ანალიტიკა;
- ანალიტიკის საფუძველზე ცვლილებების შეტანა მართვის პანელზე და საჯაროდ ხილვად სივრცეზე;
- მიმდინარეობს მართვის პანელში შემოსული განაცხადების მართვის ანალიტიკა და შემუშავება;
- შემუშავდა ავტორიზაციის, რეგისტრაციის და პაროლის აღდგენის მოდულები;
- შემუშავდა სერვისებზე განაცხადის ერთიანი ფორმა.

ე. სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სერტიფიცირებულ პირთა რეესტრი

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:
- მონაცემთა ბაზის არქიტექტურა;
- მართვის პანელის შემუშავება;
- სერთიფიცირებულ პირთა სერვისით ინფორმაციის გაზიარება შესაბამის ორგანოებთან;

ვ. საინფორმაციო პორტალი წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- სტრუქტურის შემუშავება;
- შესაბამისი დიზაინის შაბლონის მოძიება/ინტეგრაცია;
- მიმდინარეობს შეტყობინებების საინფორმაციო პორტალის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოწოდებული წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ერთიან სივრცეში ასახვას;
- შემუშავდა სერვისი - გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოწოდებული წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ.

ზ. ტრანსპორტის მართვის ელექტრონული პროგრამა

საანგარიშო პერიოდში:

- შემუშავდა და ტესტირების რეჟიმში გაიშვა ტრანსპორტის მართვის ელექტრონული პროგრამა.

3. **ღონისძიების დასახელება:** მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაცია.

3.1 ქვეღონისძიების დასახელება - მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;

შეფასების ინდიკატორი: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების განხორციელების მიზნით, სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა სხვადასხვა ტიპის ხელის რადიოსადგურების, საავიაციო სტანდარტების სიხშირეების პორტატული რადიოსადგურები და ახალი სახანძრო სამაშველო მანქანებისთვის სტაციონალური რადიოსადგურები;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა ტყის ხანძრებისთვის განკუთვნილი ახალი მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღჭურვილობა (ძალაყინის, ბაგორის, სახანძრო ცულისა და სამმუხლა კიბის; ასევე, სახელოები, ლულები, ჰაერმექანიკური ქაფის გენერატორის, სამკაპას, წყლის ასაღები სვეტის, სახელოს გადამყვანისა და მომჭერის, სახანძრო სახელოზე გადასასვლელი რეზინის მასალის ხიდისა და სარეცხი მოწყობილობის) და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ მეხანძრე-მაშველებისათვის ზამთრის და ყოველდღიური ფეხსაცმელი, ასევე ყოველდღიური ფორმა-ტანსაცმელი, ოპერატორების მაისურები, რეზინის ჩექმები, მაშველის ხელთათმანები, ნაქსოვი ქუდები და სხვადასხვა დეპარტამენტში დასაქმებული მოსამსახურეების ფორმა-ტანსაცმელი;
- მეხანძრის სპეციალური ფორმის ტანსაცმელი (ცეცხლგამძლე) და შესაბამისი აქსესუარები/აღჭურვილობა;
- სამსახურის ურბანული სამძებრო-სამაშველო ჯგუფის (GEO-10) დასაკომპლექტებლად შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა (INSARAG-ის ჯგუფი);
- ზაფხულის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით შეძენილ იქნა შესაბამისი სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები, ასევე წყალზე სამაშველო სეზონისათვის განკუთვნილი წყალგაუმტარი რეზინის ბოტები;
- სხვადასხვა დასახელების სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა;

- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა სახანძრო ქაფი;
- საველე პირობებისთვის განკუთვნილი მშრალი ულუფა;
- ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის მოსაწყობად შეძენილ იქნა სხვადასხვა დასახელების ავეჯი და სპორტული ინვენტარი;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას შტაბის მოსაწყობად, ასევე სხვადასხვა სწავლებების უზრუნველსაყოფად სამსახურის მიერ შეძენილ იქნა 10 ერთეული კარავი, შესაბამისი ტატამით, გენერატორებითა და გაგრილების სისტემებით;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილია სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები;
- სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომობილებისათვის შეძენილია ჯალამბარები, საბუქსირე ბაგირები (კანოპები), სხვადასხვა ზომის საბურავები და აკუმულატორები;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილია მზის ენერგიის პანელები;
- უსაფრთხოების ბალიშები (ბატუტი);
- მიუვალ ადგილებში სამაშველო ღონისძიებების წარმატებულად განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა უნივერსალური საკაცე ვერტმფრენზე დაკიდვის შესაძლებლობით;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილია სამსახურის ზედმახედველობის დეპარტამენტისათვის სხვადასხვა სახის ინვენტარი, როგორიცაა დიფერენციალური წნევის მანომეტრი, ციფრული ანონიმეტრი, ციფრული ლაზერული მანძილმზომი, კვამლის დეტექტორის გასატესტი აეროზოლი, კვამლის დეტექტორის ტესტერი, ტელესკოპური სახელური, ტემპერატურული დეტექტორის ტესტერი, ტელესკოპური სახელური, სატესტო მოწყობილობის გადასატანი ჩანთა, კვამლსაწინააღმდეგო სისტემის სატესტო კვამლის წარმომქმნელი მოწყობილობები და მათი სახარჯი კვამლწარმომქმნელი სითხე;

3.2 ქვეღონისძიების დასახელება: სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის განახლება/მოდერნიზაცია:

შეფასების ინდიკატორი N1: განახლებული ავტოპარკი

- 30 ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტომანქანის შესაძენად 2024 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სრულად მოწოდებულია სახანძრო-სამაშველო ავტომანქანები;
- 3 ერთეული სახანძრო მუხლიანი კიბის (კალათით) შესაძენად მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია და გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა ხელშეკრულება და ავანსის სახით მომწოდებელ კომპანიას ჩაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულების 80%. სახანძრო მუხლიანი კიბის (კალათით) მოწოდება დაგეგმილია 2026 წელს.

შეფასების ინდიკატორი N2: განახლებული სამთო-სამაშველო ავტოპარკი

- სამთო-სამაშველო ღონისძიბების განსახორციელებლად სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 3 ერთეული თოვლმავალი;

შეფასების ინდიკატორი N3: განახლებული წყალზე სამაშველო ავტოპარკი

- წყალზე სამაშველო ღონისძიბების განსახორციელებლად სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა საჯომარდო ნავი;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილია 2 ერთეული გასაბერი ნავი ჩამოსაკიდი ძრავით;
- წყალზე სამაშველო ღონისძიებების განსახორციელებლად საანგარიშო პერიოდში შეძენილია 12 ერთეული წყლის სკუტერი (წყლის მოტოციკლი);

3.3 ღონისძიების დასახელება: სახანძრო-სამაშველო ობიექტების ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაცია:

შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- ქ. ფოთში, ხევსურთ-სოფელში და აფენში საანგარიშო პერიოდში დაიწყო ფარდულების დემონტაჟის და ახალი ავტოფარეხების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმებოდა 2025 წლის ბოლომდე. ამასთან, მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მშენებლობა დროებით შეჩერებულია;
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გამართული ფუნქციონირებისათვის ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოსაფხვრელად განთავსდა საოფისე და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სენდვიჩ-პანელის კონსტრუქციის 48 ერთეული კონტეინერი;
- მეხანძრე-მაშველთა ფიზიკური ფორმის შენარჩუნების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განახლდა და დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა N182-ში სტადიონის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა N182-ში ვოლიერების სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა N182-ში სამაცივრე საწყობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო ქ. თბილისში, უცნობ გმირთა N182-ში შენობა-ნაგებობის ნანგრევების იმიტირებული დაბრკოლებათა გვირაბის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმებოდა 2025 წლის ბოლომდე. ამასთან, მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მშენებლობა დროებით შეჩერებულია;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო ქ. თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე N6-ში მდებარე სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმებოდა 2025 წლის ბოლომდე. ამასთან, მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მშენებლობა დროებით შეჩერებულია;
- განხორციელდა იმერეთის რეგიონში განლაგებული სახანძრო-სამაშველო შენობების დაზიანებული სახურავების სარემონტო სამუშაოები;
- ქ. გორის და ქ. ქუთაისის დანაყოფების ცენტრალურ შენობებში მოეწყო ოპერატიული მართვის ცენტრები;
- საანგარიშო პერიოდში ქ. დედოფლისწყაროში და ქ. გურჯაანში დასრულდა ორი რეზერვუარის მშენებლობა;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოსთვის ქ. ახალციხეში საოპერატორო ცენტრის მოწყობის სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის მთავარი სამმართველოსთვის ქ.თელავში საოპერატორო ცენტრის მოწყობის სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2026 წლის I კვ-ში;
- აქტიურად მიმდინარეობდა სამსახურის დანაყოფების შენობა-ნაგებობების იერსახის შენარჩუნების მიზნით მათი მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

4 ღონისძიების დასახელება: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება:

შეფასების ინდიკატორი N1: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების რაოდენობა.

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 2267 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 2198 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქციის შემუშავება; სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ანდა სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ანდა სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა სათანადო აქტის გაფორმებით; სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება; საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება; ავტო ტექნიკით სიმაღლეზე სამუშაოების წარმოება; საევაკუაციო გეგმის შემუშავება; ობიექტზე ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი, სპორტული და სხვა ღონისძიებების ჩატარების დროს (გარდა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება გაიწევა უსასყიდლოდ) აგრეთვე ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას სახანძრო, საავარიო-სამაშველო ავტო ტექნიკითა და ეკიპაჟით მომსახურება/სახანძრო, საავარიო-სამაშველო ავტო ტექნიკის თხოვება; წყალზე მასობრივი, სანახაობრივი, სპორტული და სხვა ღონისძიებების ან სამუშაოების ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწევა), აგრეთვე ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას თითოეული მცურავი საშუალებით (ტექნიკით) მომსახურება მაშველებთან ერთად; სიმულაციური განგაშის ორგანიზება და ჩატარება; ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სიმულაციური განგაშის ორგანიზება და ჩატარება სახანძრო სამაშველო ტექნიკის გამოყენებით; წყალზე მაშველის სწავლება; პიროტექნიკურ ნაწარმთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების სწავლება და სერტიფიკატისა და შესაბამისი უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა; პიროტექნიკური ნაწარმის გამოყენების უფლების დამადასტურებელი დაკარგული/დაზიანებული მოწმობის აღდგენა ან ცვლილების შეტანა. ამასთან, ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები მეტწილად ხმარდება სამსხურის განვითარებას;

შეფასების ინდიკატორი N2: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების რაოდენობა - სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვა.

- დამტკიცდა სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს "2025-2029 წლების სტრატეგია" და "2025-2029 წლების სამოქმედო გეგმა";

5 **ღონისძიების დასახელება:** სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა.

შეფასების ინდიკატორი N1: სახელმწიფო რეზერვების მიმართულებით შემუშავებული ნორმატიული ბაზა.

- შემუშავებულია და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში შესათანხმებლად გაგზავნილია „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების

ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და „საქართველოს სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

შეფასების ინდიკატორი N2: სახელმწიფო რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

- საპასუხისმგებლო შენახვაზე არსებული მატერიალური ფასეულობის განახლება რეგულარულად ხდება პასუხისმგებელი შემნახველის მიერ.
- საპასუხისმგებლო შენახვაზე რიცხულ სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობას ჩაუტარდა საკონტროლო შემოწმება და ინვენტარიზაცია;
- მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა საპასუხისმგებლო შემნახველ პუნქტებში რიცხული დებიტორული დავალიანების ამოღების/ჩამოწერა/გაუფასურებასთან დაკავშირებით;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ✓ ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე, გადამზადებული/ მომზადებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები და მინიჭებული INSARAG-ის (გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის) კლასიფიკაცია;
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განვითარებული ტექნოლოგიები;
- ✓ განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა, შენარჩუნებული ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი);
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
- ✓ შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ➢ საანგარიშო პერიოდში **69 208** ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
- ➢ ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ აღემატება 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს;
- ➢ ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეთა 369 მოსამსახურემ სამსახურის სასწავლო ცენტრში გაიარა სპეციალური სწავლება/გადამზადება, ასევე წინასწარ შერჩეულმა კანდიდატებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნისა და ორგანიზაციის ეგიდით გამართულ სწავლება/ტრეინინგებში;
- ➢ ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება/კონსულტირება (კერძოდ, **6 727** აქტივობა) და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები. ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 7 მუნიციპალიტეტის, 12 საჯარო სკოლის და 307 საგანმანათლებლო დაწესებულების და ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმები;
- ➢ მიღებულია INSARAG-ის კლასიფიკაცია, გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფ „INSARAG"-ით აკრედიტირებულია ქართული ურბანული სამაშველო ჯგუფი.
- ➢ განხორციელდა პილოტირების რეჟიმში დანერგილი ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემის (eFris) ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაცია. მიმდინარებს მისი ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- ➢ შემუშავდა და პილოტირების რეჟიმი გაიშვა ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის პორტალი (incidents.es.gov.ge). განხორციელდა მისი ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაცია. სისტემას დაემატა სტატისტიკის მოდული. მიმდინარებს მისი განვითარება/გაუმჯობესება, ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- ➢ საოპერაციო გარემოში დანერგილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემისათვის (eFss) მუდმივად ხორციელდებოდა ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება. განხორციელდა მისი ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაცია. განხორციელდა მონაცემთა ბაზის და ატვირთული დოკუმენტების ყოველთვიური მექანიკური სარეზერვო ალების შექმნა, მონაცემთა უსაფრთხოებისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. სისტემას დაემატა სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარატამენტის თანამშრომელთა მონაცემები, ჰიდრანტების

შემოწმების პროცესის უზრუნველსაყოფად. მომზადდა საზედამხედველო ობიექტების საერთო ბაზა 2026 წლის მონაცემთა ბაზის ფორმირებისთვის;

- სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმისთვის შემუშავდა მართვის პანელი, ავტორიზაციის, რეგისტრაციის და პროლის აღდგენის მოდულები, სერვისებზე განაცხადის ერთიანი ფორმა და მიმდინარეს მიღებულ განაცხადების მართვის მოდულზე მუშაობა;
- შემუშავდა და დაინერგა სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სერტიფიცირებულ პირთა რეესტრის სისტემა, რომელშიც განხორციელდა მონაცემთა ბაზის არქიტექტურის, მართვის პანელის და შესაბამის ორგანიზაციებთან სერტიფიცირებულთა შესახებ ინფორმაციის ელექტრონული სერვისების გაზიარების შემუშავება;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის ელექტრონულ რუკებზე მუდმივად ხდებოდა მონაცემების განახლება (maps.es.gov.ge, hydrants.es.gov.ge). დაემატა „GWP"-ის მოწოდებული მაგისტრალური მილსადენების მონაცემები;
- შემუშავდა და პილოტირების რეჟიმში დაინერგა „ტრანსპორტის მართვის ელექტრონული პროგრამა;
- მიმდინარეობს მუშაობა წყალმომარაგების შეწყვეტის საინფორმაციო პორტალზე, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციი ერთიან სივრცეში ასახვას.
- ნაწილობრივ განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ნაწილობრივ განახლდა წყალზე/სამთო სამაშველო და სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაეწიათ ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში. სერვისის მიღების მიზნით მიღებული მომართვების 100%-ი დაკმაყოფილებულია დადგენილ ვადაში;
- დამტკიცებულია სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვის სამოქმედო გეგმა;
- შემუშავებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის, ნომენკლატურისა და დაგროვების ოდენობის განმსაზღვრელი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები;
- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. ჩატარდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაცია.

<u>დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები</u>

1. **ინდიკატორის დასახელება** - ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და მათზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციისათვის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) ოპერაციებს. ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახური ახორციელებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის ზედამხედველობას, რომელთა საერთო რაოდენობა აღემატება 16 000 ობიექტს. დღეის მდგომარეობით

შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის კოორდინაციის მიზნით სამსახური ახორციელებს აღნიშნული სისტემის სუბიექტების მიერ საგანგებო მართვის გეგმების მომზადების ხელშეწყობის მიზნით მათთვის სწავლებების/ კონსულტაციებისა და სხვადასხვა მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზებას, უწყებათშორისი თანამშრომლობის კოორდიანციას. მეხანძრე-მაშველთა მომზადების სხვადასხვა პროგრამა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი დამტკიცებული/ დანერგილია; მომზადებული/გადამზადებულია სამსახურის 360 მოსამსახურე;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ლიკვიდირებულია ყველა ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებულია 16 000 აქტივობა (მათ შორის ობიექტების შემოწმება). გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფ „INSARAG"-ით აკრედიტირებულია ქართული ურბანული სამაშველო ჯგუფი. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებს შემუშავებული აქვთ საგანგებო მართვის გეგმები. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმი. სამსახურის 1 440 მოსამსახურე მომზადებული/გადამზადებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რეაგირებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რაოდენობა და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. ასევე, გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფ „INSARAG"-ით აკრედიტირებულია ქართული ურბანული სამაშველო ჯგუფი.

2. **ინდიკატორის დასახელება** - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საოპერაციო გარემოში პილოტირების რეჟიმში დანერგილია და რეკომენდაციების მიხედვით დახვეწილია ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემის (eFris) მოდულები; საოპერაციო გარემოში დანერგილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss). საოპერაციო გარემოში პილოტირების რეჟიმში, რეკომენდაციების მიხედვით შემუშავებულია სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ელექტრონული სისტემა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა (eFris) და მასში აღრიცხულია და სტატისტიკურად დამუშავებულია ქვეყნის მასშტაბით მომხდარი ინციდენტების, ასევე მათი შედეგებისა და რეაგირების შესახებ მონაცემები; სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss) საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია და მისი ფუნქციონალი განვითარებულია; საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ელექტრონული სისტემა და მისი ფუნქციონალი დახვეწილია/განვითარებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების ელექტრონული სისტემების შექმნა/განახლება.

3. **ინდიკატორის დასახელება** - მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაციის და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გასაახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 60%; ჩასანაცვლებელია სახანძრო-სამაშველო დანიშნულების ავტომანქანების 33,8%, მცურავი საშულებების 47,5% და სამთო-სამაშველო სატრანსპორტო საშუალებების 37%. ასევე, არ არის საკმარისი სამთო-სამაშველო ავტოპარკის არსებული რაოდენობა; სახანძრო-სამაშველო ობიექტების 84,3% საჭიროებს რეაბილიტაციას; არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის ბაზაზე, ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) დედაქალაქში და დასახლებულ ტერიტორიებზე შეადგენს 10 წთ-ს, ხოლო რეგიონებში (რაიონები) - 20 წთ-ს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დამატებით 20%-მდე განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შეძენილია 4 სახანძრო-სამაშველო მანქანა; ჩანაცვლებულია/ განახლებულია სხვადასხვა ტიპის 10 ერთეული მცურავი/ სამთო-სამაშველო საშუალება; სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 4% რეაბილიტირებულია; ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) შენარჩუნებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 55.27%-ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი, ასევე 1%-ით რეაბილიტირებულია ინფრასტრუქტურა. ასევე, ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) შენარჩუნებულია, კერძოდ, ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ აღემატებოდა 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს;

4. **ინდიკატორის დასახელება** - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების განვითარების მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს; მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოებაზე სრულად გადასვლისთვის მოსამზადებელ;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სერვისის მიღების მიზნით მიღებული მომართვების 100%-ი დაკმაყოფილებულია დადგენილ ვადაში; მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოების პროგრამა (პლატფორმა) შექმნილია; მიღებულ სამოქმედო გეგმაში, დამტკიცებულ სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებში (SOP) და ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები განხორციელებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება.

5. **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნის და მართვის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ხედვის პროექტი დამტკიცებულია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დაგეგმილია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შევსებისათვის საჭირო ღონისძიებები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

ცდომილების მაჩვენებელი (20%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

"საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი სახელმწიფო მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის დადგენილებაში №308 საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის დადგენილებით №92 განხორციელდა ცვლილებები, რომლის შედეგადაც აღნიშნულ დადგენილებაში გაიწერა მომსახურების პირობები და ასევე დაემატა სერვისების მომსახურების სახეები, შესაბამისად მიმდინარეობს, მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოების პროგრამის (პლატფორმა) ადაპტირება განახლებულ სერვისებზე. ამ ეტაპზე შემუშავებულია სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ელექტრონული სისტემა და დანერგილია პილოტირების რეჟიმში.

2025 წლის 30 ივნისის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი ლიკვიდირებულ იქნა 2025 წლის 1 სექტემბრიდან, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების დელეგირება სხვადასხვა უწყებებში. მათ შორის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საფრთხეების დოკუმენტის შექმნა, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, მატერიალური ფასეულობების ნუსხისა და ოდენობის განსაზღვრისათვის. ამჟამად უწყებათაშორის ფორმატში მიმდინარეობს მატერიალური ფასეულობების ნუსხისა და ოდენობის განსაზღვრის საკითხებზე მუშაობა.

ვინაიდან, დიდი დატვირთვის გამო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განიცდის არანორმირებულ ცვეთას, მუდმივად საჭიროა აღნიშნული ბაზის განახლება, ასევე სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ავტოპარკის განახლება/ჩანაცვლება. ამ საჭიროებიდან გამომდინარე, 2025 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის ქვეშ მოქმედ სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსგან გრანტის სახით გადაეცა თანხები. აღნიშნული დაფინანსების (სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსულობების (არასაბიუჯეტო სახსრების)) და საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში 2025 წელს, სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლდა 55.23 %-ით, ასევე შეძენილა 30 ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტომანქანა, 3 ერთეული თოვლმავალი, 1 ერთეული საჯომარდო ნავი, 2 ერთეული გასაბერი ნავი ჩამოსაკიდი ძრავით და 12 ერთეული წყლის სკუტერი (წყლის მოტოციკლი).